ხელშეკრულება (მონტაჟი) CPV 79700000

№ 777 SMP 170002883

ქ. თბილისი 2126-518 "12" 03 2018წ.

ააიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" (შემდგომში "დამკვეთად" წოდებული), მისი დირექტორის *გიორგი აბესაძის* სახით ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული), მისი დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის *მამუკა ლიპარტელიანის* სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "შემსრულებელი" უზრუნველყოფს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებას ,,დამკვეთის'' ობიექტზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, გუდამაყარის ქ. N 2;

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი და პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განსაზღვრულია თანდართული ინვოისით N 12944 (შემდგომში დანართი N1);

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული თანხის გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, დანართი N1-ში მოცემული მასალები გადადის "დამკვეთის" საკუთრებაში;

2.3 ,,დაცვის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. **"შემსრულებელი" ვალდებულია:**

3.1.1. შეასრულოს დაცვითი სიგნალიზაციის სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით;

3.1.2. უზრუნველყოს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულება;

3.1.3. გააცნოს "დამკვეთს" დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის ინსტრუქცია;

3.1.4. უზრუნველყოს სამუშაოების დასრულების დღიდან 6 თვის (საგარანტიო ვადა) განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, თუ ისინი გამოწვეული არ არის ,,დამკვეთის'' მიერ არასწორი ექსპლუატაციით;

3.1.5. "შემსრულებლმა" წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, დაიწყოს სამონტაჟო-გასამართი სამუშაოების წარმოება;

3.1.6. "დამკვეთის" მიერ 3.2.1 და 3.2.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს 5 სამუშაო დღეში სამონტაჟო-გასამართი სამუშაოების დამთავრება, რაზედაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2. **"დამკვეთი" ვალდებულია:**

3.2.1. უზრუნველყოს " შემსრულებელი" სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი პირობებით;

3.2.2. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით,

3.2.3. უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ინვოისის წარდგენის შემდგომ „შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე."

3.2.4. უზრუნველყოს დამონტაჟებული სიგნალიზაციის ექსპლუატაციის წესების დაცვა;

3.2.5. არ დაუშვას ობიექტის დაცვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება ,,შემსრულებლის'' წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,შემსრულებელი'' არ აგებს პასუხს ,,დამკვეთის'' თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და მიღებულ ზიანზე.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ,,ობიექტის'' მოკვლევის აქტი და სამონტაჟო მასალების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1);
6.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
6.3. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;
6.4. ,,შემსრულებლის'' მიერ გაწეულ მომსახურებაზე (სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები) დგება მიღება-ჩაბარების აქტი 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება "დამკვეთთან", ხოლო ორი "შემსრულებელთან";
6.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება "დამკვეთთან", ხოლო ერთი "შემსრულებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსრულებელი'' **შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE 22, ა/ა 707117037 **დაცვის ორგანიზაციის** **სამმართველოს უფროსი** *ბ.ლიპარტელიანი*	**,,დამკვეთი''** ააიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი" ს/კ 211328703 ტელ: 599 891900; 593 542254; დირექტორი *გ. აბესაძე*

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
ქ.თბილისი, აღამაშენებლის ხეივანი მე-11 კმ
ტელ: 125 www.125.ge

ინვოისი # 12944

თარიღი: 20/02/2018

მიმღების ბანკი|_სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი_TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_707117037
საიდენტიფიკაციო კოდი 211350928

დამკვეთი ააიპ "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი"
საიდენტიფიკაციო კოდი 211328703
მისამართი ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, გუდამაყრის ქ. N 2

კოდი	პროდუქცია	ტექ. მახასიათებელი	ერთეულ	რაოდ.	ფასი	თანხა
11569	აკუმულატორი 7 ა/სთ	აკუმულატორი 7ა/სთ ჩინეთი	ცალი	1	30.40	30.40
12211	სიგნალიზაციის კაბელი 8 წვერიანი	ELEN 050081 8X0,22 N/SHIELDED	მეტრი	5	0.52	2.60
12279	კვების ბლოკი 2ა	იმპულსური კვების ბლოკი 220x120x50მმ	ცალი	1	15.00	15.00
12371	დისტანციური საგანგაშო ღილაკი	დისტანციური საგანგაშო ღილაკის კომპლექტი: ბრელოკი 2 ცალი და მიმღები	ცალი	1	53.00	53.00
				სულ		101.00

ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით

დამკვეთი:

დირექტორი: გ. აბესაძე

შემსრულებელი:
შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი

/მ. ლიპარტელიანი/

„ვამტკიცებ“
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი

/ბ. ლიპარტელიანი/
„----“----------- 2018წ.

„ვამტკიცებ“
ააიპ „თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს
დირექტორი

/გ. აბესაძე/
„---“----------- 2018წ.

ააიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს
გამოკვლევის აქტი

ქ. თბილისი 14.02.2018წ.

„ობიექტი“ მოიკვლია:

1. შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს მოკვლევის სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა ზ. ყიზილაშვილმა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა:

ააიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს (კლინიკა) მდებარეობს ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, გუდამაყარის ქ. N 2-ში. ობიექტი განთავსებულია 7 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე და უკავია დაახლოებით 230 კვ. მ. ფართი. ობიექტს, რომეშიც ამჟამად მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები აქვს ცენტრალური შესასვლელი რკინის კარი, კაბინეტები და სამუშაო ოთახები, დარაჯის ოთახი და სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, ვიტრაჟის ტიპის ფანჯრები, სველი წერტილები. კლინიკას ირგვლივ ესაზღვრება საცხოვრებელი კორპუსები და კლინიკები.

საგანგაშო სიგნალიზაციის მონტაჟის თვალსაზრისით:

1. ობიექტზე შიდა პერიმეტრზე დარაჯის ოთახში დამონტაჟდეს და დარაჯი აღჭურვილი იქნას დისტანციური საგანგაშო ღილაკებით (სულ 1 კომპლექტი).
2. მიზანშეწონილია შიდა პერიმეტრზე დარაჯის ოთახში დამატებით დამონტაჟდეს ფიქსირებული საგანგაშო ღილაკი, რაზეც დამკვეთმა უარი განაცხადა.
3. საგანგაშო სიგნალიზაცია უზრუნველყოფილ იქნას სარეზერვო ელ.კვებით.
4. რადიო გადამცემის მეშვეობით საგანგაშო სიგნალიზაცია ჩართული იქნას დაცვის პოლიციის ცდპ-ზე.

აქტის სისწორეს ვადასტურებ ხელმოწერით

/ზ.ყიზილაშვილი/

ააიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (კლინიკა)



სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

2018 წლის 12 მარტის N2/26–318 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილესთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გენერალური დირექტორი: გ. აბესაძე

ფინანსური დირექტორი: მ. წაქაძე

შესყიდვების სამსახურის უფროსი: გ. მაღლაკელიძე

იურისტი: თ. ხორხელი

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: გ. ბაქრაძე

შესყიდვების სამსახურის მენეჯერი: ქ. ფიცხელაური